№ 318. კვირა, 21 სექტემბერი. 1896-1897 კვირა, 21 სექტემბერი, № 318.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი ვაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და სალამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

კვირას, 21 სექტემბერს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში
თ. ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძის
გარდაცვალების მეორმოცე დღეს გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. (2—2).

სასწავლებელი და პანსიონი
ა. ტერ-აკოპოვისა

მოწვეულია უმაღლესს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული მასწავლებლები სპეციალისტები და 1 ენკენისთვიდან იღებს მოწაფეებს, როგორც სასწავლებელში მოსამზადებლად, აგრეთვე სასწავლებელში მყოფთ დასახმარებლად გიმნაზიებისა, რეალურისა და სხვა სასწავლებლების მოწაფეთა მე-5 კლასამდე.
იქვე მიიღებიან პანსიონერებად სხვა სასწავლებლების მოწაფენიც.
ქართველებს ქართულს ენას ასწავლის სიონის ტაძრის მღვდელი ანტონ თოთიბაძე.
ადრესი: ტფილისი, განოვის ქუჩა, № 11, მესამე გიმნაზიის გვერდზე.

УЧИЛИЩЕ и ПАНСІОНЪ
А. Теръ-Акопова
Тифлисъ, Гановская № 11 (10—7)

ექიმი კ. კ. თოფურიძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე
დილით—8—10 საათამდე **საღამოთი**—5—7 საათამდე
ხოლო სამშაბათსა, პარასკევსა და კვირაობით საღამოთი
ელისაბედის ქუჩა, № 27 (თვალის სამკურნალოს გვერდით)
ДОКТОРЪ К. К. ТОПУРИДЗЕ
Пріемъ ежедневно. Елисаветинская № 27. (20—14)

ტოკარი
ივანე იათოვიძე
გადმოვიდა ქაშვეთის ეკკლესიის შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ე. ხელაძის სტამბის გვერდზე და იღებს შეკვეთას: აკეთებს ჯოხებს, ქოლგებს, დომინოს, დანის ტარებს, მარაოებს, მასრებს და სხვ., აგრეთვე შეაკეთებს ძველებს.
ТОКАРЬ ИВАНЪ ІАТОВИДЗЕ
принимаетъ всевозможныя токарныя работы,
а также починяетъ подержанныя вещи.
Лорисъ-Меликовская ул. № 7.
(6—1)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. 300—192)

ქართული თეატრი
კვირას, 21 სექტემბერს
ქართული დრამატიულ არტისტ. წარმოდგენილ იქმნება.
საქველ მოქმედო საგნით
„ვაის გავეყარე ვუის შევეყარე“
კომ. 3 მოქ. გადმ. ვალ. გუნიას-მიერ.
მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ბნი ჩერქეზიშვილისა, კუნდელი, ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე.
დასასრულ დივერტისმენტი
მიიღებენ მონაწილეობას განდეგილი, გრ. აბაშიძე, არ. ახნაზაროვი, ადამიძე.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია

მკურნალი
მიხ. გედევანიშვილი
დილით 11—1 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი პაპოვისა № 29.
(5—4)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანცისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფებს იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.
დილაობით:
ყ. მ. ჩაქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.
ა. ნ. კარაშეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. ბ. გურკო. დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით
ა. მ. ზუბინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ვ. თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ვ. თოფურია.**
Лѣчебница *С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“ რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

19 სექტემბერი

სტამბოლი. ხმა დადის, რომ ოსმალეთმა დაუშალა რუმელიას აღმოსავლეთის მხარესა და ფილიპოპოლში ციხე-სიმაგრეების აგება.

რუსეთის ელჩად ნამყოფი ნელიდოვი ბადენ-ბადენში მიდის. საელჩოს საქმეებს განაგებს ბ-ნი ჟადოვსკი.

მადრიდი. აქ გუშინ სალამოთი მოვიდა საგასტა; ჰფიქრობენ, რომ დედოფალი დაუყოვნებლივ ინახულებს.

არხანგელსკი. 18 სექტემბერს პირველად მოვიდა აქ რკინის გზის მატარებელი ვოლოგდიდგან.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე დანიშნულ იქმნა კავკასიის საგრენადერო დივიზიის სარდლად.

ბუქარესტი. მეფე დედოფალი პელაშის სასახლეში მობრძანდნენ.

ათინა. პალატის კრების დროს სამინისტროს მომხრეთა რიცხვი მცირე აღმოჩნდა.

ვენა. „Politiche Correspondent“. ბელგრადში გავრცელებული ხმა, რომ სიმიჩის კაბინეტი სამსახურიდგან გადადგა, უსაფუძვლო გამოდგა. კაბინეტს ფიქრად არა აქვს სამსახურიდგან გადადგომა და მეფეც არა ფიქრობს კაბინეტის გამოცვლას.

* * *

კანონი და მთავრობის განკარგულება.

სამოსამართლო უწყება. დანიშნულ იქმნენ: უმაღლესის სასახლის კამერგერი, დეისტ. სტ. სოვ. თავ. შერვაშიძე და ტფილისის გუბერნატორი, დეისტ. სტ. სოვ. ბიკოვი—საპატიო მსაჯულებად ტფილისის ოლქის სასამართლოს უწყებისა.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყება. გადაყვანილ იქმნენ: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ერმალო ნაკაშიძე—ზაქათლის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ და ბათომისა შანავაძე—გორის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელედ.

ადმინისტრაცია. გადაყვანილ იქმნა თანახმად მისის თხოვნის: ერევნის საგუბერნიო სამმართველოს მოხელე გიორგი ესაძე—ტფილისის მაზრის სამმართველოს მოხელედ.

* * *

ახალი ამბავი

⁂ **თ. ივ. მაჩაბლის ავადმყოფობა.** 6 ამ თვეს სოფელ თამარაშენიდგან (გორის მაზრა) უკვე ჩამოიყვანეს ტფილისში თ. ივანე მაჩაბელი. როგორც ამბობენ, ხელმეორედ უნდა გაეკეთებინათ მსუბუქი ოპერაცია. ქირურგს ვოინოს გაუსინჯავს ავადმყოფი, შესაფერი ფილთა გაუკეთებია ჭრილობაში ჩირქის გამოსაწურავად და უთქვამს კიდეცა, ოპერაცია საჭირო არ არისო. ავადმყოფი ამ ჟამად თავისუფლად დადის როგორც შინ, ისე გარედ. ტემპერატურა სრულებით ზომიერი აქვს, 37-ი არ ასცილებია. თ-დი მაჩაბელი ცოტა ხანს კიდევ დარჩება ტფილისში და მერე განზრახვა აქვს, ზამთარი სოფელში გაატაროს.

⁂ **საქველ-მოქმედო წარმოდგენა.** დღეს სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია ქართული საქველმოქმედო წარმოდგენა ახალგაზდა ყმაწვილი კაცის სასარგებლოდ, რომელიც პეტერბურღს მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად. არდგენენ მხიარულ 3 მოქმედებიან კომედიას „ვაის გავეყარე ვუის შევეყარე“-ს წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობენ; ქ—ბ-ნი ჩერქეზიშვილისა, კუნდელი ბ-ნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ადამიძე. წარმოდგენის დასასრულ გაიმართება დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ბ-ნი განდეგილი, გრ. აბაშიძე, არ. ახნაზაროვი და ან. ადამიძე.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი საზოგადოება ხელს შეუწყობს სწავლის მწყურვალ ყმაწვილ კაცს და ბლომად დაესწრობა დღეს სალამოს მით უფრო, რომ წარმოდგენაც ფრიად საინტერესოა.

⁂ **ბ-ნი ნოე ჟორდანიას ჩამოსვლა საზღვარ გარეთიდან.** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ჩვენი ახალგაზდა მწერალი ნოე ჟორდანია 19 ამ თვეს ჩამოსულა საზღვარ გარეთიდან და დაბა ლანჩხუთში გამგზავრებულა თავის მშობელ ნათესავებთან.

⁂ **ქართული საერო ხორო** ივ. მჭედლისა და ალ. კავსაძისა ამ ზამთარს კვლავ განაგრძობს თავის მოქმედებას. ხორო უწინ შესდგებოდა 13 კაცისაგან, ეხლა-25 კაცის-

ვან. ძველი კილოების გარდა ახლები ოცდა-ათამდეა: კახური, ქართლული, იმერული და სხ. ამასთანავე ბ. კავსაძეს შეუმუშავებია ,,თავო ჩემო ბედი არ გიწერია'' და ,,სულო ბოროტო'' ხოროს სამღერლად.

⁂ **შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება** მოუხდენია, რომ საგუბერნიო და მაზრის ქალაქების პოლიციამ აუცილებლად აცნობოს ხოლმე უცხოელის გარდაცვალება იმ სახელმწიფოს წარმომადგენელს (კონსულს), რომლის ქვეშევრდომიც მიცვალებული იყო და რუსეთში-კი სცხოვრობდა.

⁂ **მოსწავლეთა ყოფა ქცევის მეთვალყურენი.** საერო განათლების სამინისტროს დაუნიშნავს თითოეულის გიმნაზიისათვის საგანგებო მეთვალყურე მოწაფეების ყოფაქცევისა, როდესაც ეგ უკანასკნელნი გიმნაზიის გარეთ იმყოფებიან.

⁂ **ობლების მოძრავი ქონების დაგირავების გამო.** უმართებულესს სენატს განუმარტავს, რომ ობლების მზრუნველთ არ შეუძლიათ მათდამი რწმუნებული ობლის მოძრავი ქონება დააგირაონ, თუ ამაზე ნება არ დართო სამზრუნველო დაწესებულებამ (опекунское установленіе).

⁂ **ნავთის საქმის გასყიდვა.** ამ დღეებში ,,ს. შიბაევისა და ამხ.'' ნავთის წარმოების საქმე შეუძენია რამოდენიმე ფრანგს. პირობა უკვე შეუკრავთ ქ. მოსკოვში და ამ პირობის ძალით მთელი ამ საქმისათვის წინანდელმა პატრონმა ახლებისაგან უნდა მიიღოს 4,900,000 მანათი.

⁂ **კოდორის ხიდის დაზიანება.** მდინარე კოდორი (სოხუმის ახლოს) ისე ადიდებულა, რომ საშინლად დაუზიანებია დიდი რკინის ხიდი; წყალი ისეთის ძალით მოსწოლია ხიდს, რომ ერთი უმთავრესი ხვირი (быкъ) გაბზარულა და ორი თალი ხიდისა წყალს წაუღია. ეგ ხიდი ამ ორის წლის წინად აშენდა და ხაზინას ასი ათასს მანათზე მეტად დაუჯდა. ხიდის ზიანის დასათვალიერებლად და შესამოწმებლად კავკასიის გზათა უწყებას გაუგზავნია ინჟინერი ვოტინორსკი, რომელიც უკვე გაემგზავრა სოხუმისაკენ.

⁂ **ახალი უმაღლესი სასწავლებლები რუსეთში.** სატახტო ქალაქის გაზეთები გვატყობინებენ, რომ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს დაარსოს ორი სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი უნივერსიტეტიანს ქალაქებში. ამ საკითხის განხილვაშია ამ ჟამად სამინისტროს საგანგებო კომიტეტი.

⁂ **რკინის გზის მოხელეთა ჯამაგირების მომატება.** ამ ჟამად გზათა სამინისტრო შეუდგა რკინის გზის მოხელეთა ჯამაგირების მომატების საკითხს და 1898 წლის 1 იანვრისათვის გადაწყდება კიდეც ეგ საქმე.

⁂ **გრენადერთა დივიზიის ახალი უფროსი.** მეგრელთა პოლკის უფროსი, მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, ღენერალ-მაიორი დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ იქმნა კავკასიის გრენადერთა დივიზიის უფროსად.

⁂ **ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა.** გაზ. „კავკაზ“-ს შეუტყვია, რომ ქალაქის მოურავის მოადგილეს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე, რომ ქალაქის ექიმებს უფლება მიეცნეთ, შეუძლებელთა ექიმობის დროს, საჭიროების და-გვარად მოიწვიონ ხოლმე ქალაქის ბებია ქალები.

⁂ **სოფ. ხულოსა და ქედში დარაჯის დანიშვნა.** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა და ბათომის ოლქის უფროსმა შუამდგომლობა აღძრეს მთავრობას წინაშე, რომ გამოგზავნილ იქმნას ბათომის ოლქში 100 პლასტუნი (ყაზახის ჯარის კაცი), რომელთაგან 50 სოფელს ხულოში უნდა დაბინავდეს და 50-სოფ. ქედში. ბ. კავკასიის მთავარმართებელს უკვე შეუწყნარებია ეგ შუამდგომლობა.

⁂ **ხორცის ახალი ნიხრი.** 15 ენკენისთვეს ქალაქის საბჭომ დაადგინა ბ. ტფილისის გუბერნატორმა 18 ენკენისთვეს დაამტკიცა და 20 ენკენისთვიდამ ქალაქის ყასაბთათვის სავალდებულო შეიქმნა შემდეგი ნიხრი ხორცზე: ძროხის ხორცი პირველი ხარისხისა გირვანქა 7 კაპ. სუკი გირვანქა — 12 კაპ. და ცხვრის ხორცი გირვანქა — 8 კაპ.

⁂ **ქალაქის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა მომავალის 1898 წლისა.** ქალაქის გამგეობას უკვე შეუდგენია 1898 წლის შემოსავლის აღრიცხვა, რომლიდამაც სჩანს, რომ ქალაქს მომავალს წელში 30,000 მანათით მეტი შემოსავალი ექმნება ვინემ წელს; ამ ჟამად გამგეობა შესდგომია მომავალის წლისსავე გასავლის აღრიცხვას.

⁂ **ტერ-ოჰანესოვის მოკვლის გამო.** ტერ-ოჰანესოვის 84 წლისა ყოფილა და იმდენად უძლური, რომ არ შეეძლო ქუჩაზე გამოსულიყო, თუ არავინ დაეხმარებოდა; საზოგადოდ იგი სახლიდამ არ გამოდიოდა. თურმე მასთან სცხოვრობდა მისი ვაჟი, 30 წლისა, და ეკატერინე ადტიაშვილისა, რომელიც ოჯახის მომვლელად ჰყავდა. ტერ-ოჰანესოვი შეძლებული კაცი იყო და სომხის ბაზარზე დუქანიც ჰქონდა, მაგრამ ამ ბოლო დროს აღარ ვაჭრობდა შიგ. წარსულს ოთხშაბათს დიასახლისი ეკატერინე წასულა თავის ქალთან, ავადმყოფობა მოუმიზეზნია. იმ დღესვე ოჰანეზოვის ვაჟიც სადღაც წასულა და მხოლოდ მკვლელობის დღეს, საღამოს 8 საათზე, დაბრუნებულა შინ. ტერ-ოჰანეზოვის სადგომის პატრონს მაინევს შეუმჩნევია, რომ მოხუცი ოჰანეზოვი 18 ენკენისთვეს მთელ დღეს არ გამოსულა ოთახიდამ. შეშინებია, ცუდი რამ არ შემთხვეოდესო, და პოლიციისათვის უთხოვნია ოთახები დაათვალიერეთ ოჰანეზოვისაო. პოლიცია შესულა ოჰანეზოვის ოთახში და შემდეგი სურათი უნახავს: ტახტზე, პირ-ქვე, უსულოდ ეგდო პერანგს-ამარა ოჰანეზოვი; ტახტზედვე ანთებული ლამპარი იდგა; გულზედ ჭრილობა ჰქონდა (დანისაგან უნდა იყოს); ოთახებში ყველაფერი არეული იყო, ყველა უჯრა-ყუთები გაღებული და ქაღალდები და ნივთები მიყრილ-მოყრილი; ჯერ არ არის გამორკვეული რა მიზნით და ვის ჩაუდენია ეგ მკვლელობა, ხოლო ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ეგ ავაზაკობა გარეშე კაცის ჩანადენი არ არის. გამოძიებამ აღმოაჩინა რომ საბრალო ტერ-ოჰანესოვს ამ უკანასკნელს დღეებში ბანკიდგან მიუღია დიდი თანხა ფულისა, ხოლო მის ჯიბეში მხოლოდ ასი მანათი უნახავთ სიკვდილის შემდეგ. ჯერ არ იციან, ბანკიდამ აღებული ფული მას სახლში ჰქონდა შენახული, თუ სხვაგან სადმე

მკვლელს იქვე დარჩენია გასისხლიანებული მეჩქმის დანა.

⁂ **სიზმარია თუ ცხადი?** წარსულ კვირას ტფილისში ჩამოსულა ერთი იმერელი ვაჭარი, გერასიმე კვირტია, რომელიც, თურმე, ხე-ტყით ვაჭრობს და საწყობებიც ჰქონია აქ გამართული. აქაურ სოვდაგარ ტერ-აკოფოვთან რაღაც ანგარიშები ჰქონია და მისგან აუღია ორმოცდა ათ თუმნამდე ფული და იმ საღამოს, თურმე, წასვლას აპირებდა იმერეთში. სწორედ ამ დღეს დილით შეხვედრია ერთი თავისი ნაცნობი ფურია გაკიელოვი, რომელსაც უთქვამს: ერთი კარგი საქმე გიშოვნე და თუ გასამჯელოს მომცემ მოგიხერხებო. კვირტია სიხარულით დასთანხმებია გაკიელოვს, რომელსაც კარგა ხანია, თურმე, იცნობდა და მის ოჯახშიაც ხშირად ყოფილა ხოლმე. კვირტიას ბედ მიუცია მისთვის 25 მან. აქედან წასულან ერთს ლუდხანაში, გეო ბუღლანოვთან. აქ ესენი დასხდარან საუზმისათვის. ამ დროს მათ მოუახლოვდებიან ვიღაც ორი უცნობი პირნი და დაიწყებენ საუბარს. ამ დროს ბუღლანოვს უთქვამს კვირტიასთვის, მეც მინდა დიდძალი შეშაო და აჰა ამ კაცს (ერთ იმ უცნობზე მიუთითებია) მივცემ ოცდახუთ თუმანს, მე არა მცალიან და ეს გადმოქცემს ჩემს მაგიერად ფულს და შეშის შესახებ პირობასაც დავსწერთო. ბუღდანოვს და ზემოდ ხსენებულს გაკიელოვს უცნობი პირი გაუცვნიათ კვირტიასათვის, როგორც კამისიონერი და საქმის კაცი. კარგი საუზმის შემდეგ კვირტია და მისი ახლად გაცნობილი გამოსულან და გასულან ალექსანდრეს ბაღში. აქ მათ კიდევ შეხვედრია ერთი უცნობი, კვირტიას ესეც გაუცვნია და ლაპარაკში უცნობს უთქვამს კვირტიასთვის, თუ შეშის მოვაჭრე ხარ სწორედ სასიამოვნოა, რადგან მე დიდ-ძალი ტყე მაქვს იჯარით აღებული და შემიძლიან ძრიელ იაფად მოგცეო. კვირტიას ძრიელ გახარებია და საქმის გასაჩარხავად შესულან ერთს ლუდხანაში ,,მაღარიჩისათვის'', აქ ბევრი ულაპარაკნიათ ხე-ტყეზე და თან კარგა ბლომადაც დაულევიათ ლუდი. როცა დაღამებულა, კვირტიას უთქვამს: აწი დრო არის პირობა დავწეროთ და ხელი მოვაწეროთო. მოუტანიათ მელანი, ქაღალდიც და სხვა, ეხლა შეზარხოშებულთ პირობაზე დაუწყიათ ბაასი. ამასობაში უფრო დაღამდა, თურმე, და კვირტიამ წასვლა მოიწადინა რკინის გზის სადგურზე. ისინიც დაეთანხმნენ, კვირტია გაუსწორდა ებრაელ მელუდხანეს, ჩაჯდა ეტლში ერთ უცნობთან, თან ხურჯინიც ჩაიგდო და გასწია, უკან კი მეორე კომისიონერი გამოჰყვა ეტლით. გასულან ვერის ხიდზე და იმის მაგიერად, რომ მოსკოვის ქუჩაზე გასულიყვნენ რკინის გზისაკენ, ეტლს ვორონცოვის ქუჩისაკენ ჩაუხვევია. ცოტა ხნის შემდეგ კვირტიასთვის უთქვამს მის ნაცნობს, აქ ერთ სარდაფში საქმე მაქვს და ცოტა ხნით მომიცადეო. კვირტია, რა თქმა უნდა დაეთანხმა. გაჩერებულან ერთს სარდაფ — ლუდხანას წინ. უცნობი ჩამოხტარა, ხოლო კვირტია-კი ეტლში დარჩენილა. ცოტა ხნის შემდეგ სარდაფიდან ამოვა ერთი პოლიციელი და მივა კვირტიასთან, წაავლებს კისერში ხელს და მრისხანედ შეეკითხება:

— სად არის შენი ამხანაგი?

— აი აქ სარდაფში შევიდა, მშვიდად უპასუხებს კვირტია.

— ეჰ, შვილოსა, მაგით ვერ მომატყუებ. მაშ ეგ შენა ხარ ვაჟბატონო, რომ ყალბ ფულებს ასაღებ?

— რის ყალბი ფული. რას მიედმოედები, იუცხოვა კვირტიამ. ყალბ ფულებთან რა ხელი მაქვს, მე მხოლოდ დღეს დილით მივიღე სოვდაგარ ტერ-აკოფოვისაგან 450 მან., რომელიც აგერ მაქვს და რა საფიქრებელია, რომ ტერ-აკოფოვი ყალბ ფულებს მომცემდა.

— არა შვილოსა, შენ მაგით თავს ვერ გაიმართლებ; ეხლავ „უჩასტკაში“ წამომყევი და იქ გავარჩევთ შენს სიმართლესო! სთქვა ესა პოლიციელმა, ჩაუჯდა ეტლში კვირტიას და გასწიეს სამოქალაქოში.

ცოტა ხნის შემდეგ გაჩერდნენ ერთს სახლთან, პოლიციელი ჩამოხტა ეტლიდან და თან ჩამოიყვანა კვირტია... შევიდნენ სადღაც ეზოში, მერე ოთახში; მართალია, ოთახი მაინცა და მაინც არ ჰგავდა სამართველოს, მაგრამ ამ დროს გამოვიდა ერთი კაცი მოხელეს ტანთსაცმელში და დაეკითხა კვირტიას:

— აბა მიჩვენე, რაც ფულები გაქვს! კვირტიამ ამოიღო ჯიბიდან ფულები. მოხელე დააკვირდა ფულებს და გამოაცხადა, რომ აქ ზოგი ყალბი არის და უბრძანა ეხლავ წამომყევ ტერ-აკოფოვის მაღაზიაშიო. მაშინვე ეტლში ჩასხდნენ და გასწიეს ტერ-აკოფოვის მაღაზიისაკენ, მაგრამ რადგან ცხრა საათზედ მეტი იყო, მაღაზია დაკეტილი დაუხვდათ. მოხელემ უთხრა: მე აქ შევალ კლუბში და სწორედ იქ იქნება ტერ-აკოფოვიო. ამასობაში კვირტია და პოლიციელი ეტლით გაემგზავრნენ ერევნის მოედნისაკენ, ვითომდა საპოლიციო მმართველობაში. ერევნის მოედანს რომ გასცილებიან და სიონისაკენ ჩაუხვევიათ, აქ-კი რაღაც ეჭვი აუღია კვირტიას და ყვირილი დაუწყია. ამასობაში პოლიციელს ხელი უკრავს კვირტიასათვის და სადღაც ვიწრო ქუჩაზე გადმოუგდია ეტლიდან და თვითონ-კი ეტლით გაქცეულა.

ყველაფერი ეს ჩვენ გვიამბო თვით გერასიმე კვირტიამ და დასძინა, რომ ცოტათი ნაღვინევი ვიყავი და ეჭვი არ არის, რომ ვიღაც გაიძვერებს ჩავუვარდი ხელში და გამძარცვესო. პოლიციელიც და მოხელეც ქურდები იყვნენ და თვალი ამიხვიესო. ყველაფერი ესა მეორე დღეს კვირტიას გამოუცხადებია პოლიციის ბოქაულის ბ-ნ გედევანიშვილისათვის, რომელსაც ცოტ-ცოტათი მიუგნია დამნაშავეთათვის. ზოგნი კიდეც გამოტეხილან: მართალია, ფული გამოვართვით და დავხარჯეთ კიდეც, ხოლო ძალათი-კი არაფერი არ წაგვერთმევია. ჩვენ დავპირდი კვირტიას ყალბი ფულის მიყიდვა და იმანაც მაგისთვის მოგვცა ფულიო. კვირტიას საჩივარი მიუცი პროკურორისათვის. საქმე სწარმოებს.

⁂ **ქ. იურიევი** (დერპტი). აქაურს უმაღლესს სასწავლებლებში (უნივერსიტეტსა და საბეითალო ინსტიტუტში) ამ ჟამად 12 ქართველი სტუდენტია.

⁂ **ქ. ფოთი.** ახალი ხიდი რიონზე. ძლივს აგვისრულდა ფოთლებს დიდი ხნის საჭიროება და ნატვრა. ამას წინედ პირველი საძირკვლის ჩაყრა ახალი ხიდისა შესაფერის დიდებით აკურთხეს. მომავალ წლის ღაზაფხულის დამლევში ხიდი მზად იქნება. ხიდის აშენება იჯარით გაეცა ჩვენებურ მოიჯარადრე თ. კეშელავას და ამით აღსრულდა ,,ცნ. ფურც.'' გამოთქმული სურვილი, რომ ხიდის აგება ჩავარდნია ქართველ კაცს, ეჭვი არ არის ხიდის შენებაზე ჩვენებურ მუშა ხალხს სამუშაო გაუჩნდება და ცოტა არ იყოს, სულს მოათქმევინებს. ამ ახალი ხიდის აშენებით სიცოცხლე და მოძრაობა დაეტყობა, რო [illegible] გილს, სადაც ნავთ-სადგურია რომლის შესაფერ შეკეთების დაწყებას დღე-დღეზე მოველით.

— **მოუსვენარი ადამიანის მოსვენება.** ამ სამი თვის წინედ გწერდით, ჩვენს საბჭოში ერთი მოუსვენარი ხმოსანი გვერია ბ-ნი ლეხნიცკი, რომელიც ყოველ კრებაზე შფოთს და აურ-ზაურს იწვევდა ხოლმე საბჭოში. ბ-ნი ლეხნიცკის ,,კრიტიკანობამ'' მეტად შეგვაწუხა ყველანი, რადგან ყოველივე მისი სიტყვა პასუხს განუსაზღვრელი პირადობის ნიშანი ეტყობოდა. წარსულ ორშაბათს ლეხნიცკიმ თავი ღმერთს შეხედა და ქაღალდი შემოიტანა საბჭოში დღეიდან ნუ მოგულებთ ხმოსნადო. ადვილი წარმოსადგენია რა რიგ გაგვიხარდა ყველას. ძლივს მოვისვენებთ მოუსვენარი ხმოსნისაგან და თვით იგი მოისვენებს თვისდა სამწუხაროდ და ჩვენდა საბედნიეროდ.

⁂ **ოზურგეთი** საფრანგეთში წასული ყმაწვილი კაცები. წლეულ ოზურგეთიდან 5 ყმაწვილი კაცი წავიდა საფრანგეთში მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის შესასწავლად. ზოგი მათგანი ლიონშია წასული და ზოგიც ნანსში. წასულ ყმაწვილკაცები, ერთის გარდა, აქაურის ვაჭრების შვილები არიან.

— **სახალხო კითხვები** აქ არ შეწყვეტილა. კვირაში ორჯელ იმართება: კვირას ნაწირვებს და ხუთშაბათობით საღამოს 6 საათზე. ხალხი სიამოვნებით ესწრება. დიდი მადლობის ღირსნი არიან მანდილოსნები, რომელნიც ასე ერთგულად უძღვებიან ამ ფრიად სიმპატიურ

საქმეს, როგორც ხალხის განათლებაა.

⁂ **ქ. ბათომი.** **უდანაშაულოდ დასჯილი.** ბათუმის დეპოს მოსამსახურე ჩილინგდარის თანა-შემწე ნიკო მიქელაძიშვილი 16 სექტემბერს დილის ხუთ საათზედ, ჩვეულებისამებრ, მიდიოდა სამუშაოდ ხსენებულს დეპოში, რომელიც ქალაქზედ მოშორებითა ძევს. უეცრად გადაეღობა წინ პოლიციელი და მეორე მხრიდგანაც ღამის ყარაული. სტაცეს ორივემ ხელი, მერე წყრომით ჰკითხეს: ვინ ხარ და რა კაცი ხარ? არიქა „მოკიდეთ ხელი, წავიყვანოთ, უჩასტკაშიო" ცემა ტყეპით წაათრიეს. საწყალმა ბევრი იყვირა, მიხედეთ თქვენს ღმერთს, არაფერი ავკაცობა არ მიქნია, ავდექი ჩემს დროზედ და ეხლა დეპოში მივდივარ სამუშაოდო. „აჰა, ეხლა ეგ ხერხი მოიგონე და მაგით გინდა გაიშვა ჩვენგან თავიო? წამო-წამო ჩქარა, ჩვენ ვიცით, სადაც არის შენისთანა კარგი კაცების დეპოო"- წაიყვანეს ის საწყალი, ჩააგდეს სატუსაღოში და იქ დამწყვდეული დასტოვეს. შესრულდა ცხრა საათი, მოვიდა ბოქაულიც, და მხოლოდ მაშინ გაუშვეს საცოდავი.

ყარამან მესხი.

⁂ **ს. შეკვეთილი.** (გურია) **მდინარემ ეკლესია იმსხვერპლა.** მთელს სოფელში ერთად-ერთი პატარა ეკლესია გვქონდა ფიცრული და ისიც წყალმა წაიღო. აი როგორ მოხდა ეგ სამწუხარო ამბავი: ჩვენს სოფელს მდინარე ნატანები ჩაუვლის, რომელიც [illegible] ყოველს გაზაფხულზე და საზოგადოდ ადიდების დროს თავის კალაპოტს გადადის; ამ კალაპოტის მატებაში მდინარე თან და თან მოუახლოვდა ეკლესიას, მაგრამ არავინ ყური არ ათხოვა; ბოლოს 13 ენკენისთვეს დიდი წვიმების შემდეგ, იგრიალა წყალმა, მოაწყდა ეკლესიას და გააქანა. იქვე მყოფ პირებმა ძლივს მოასწრეს ეკლესიის კარების გატეხა და ზოგიერთა სამკაულის და ნივთების გადარჩენა, დანარჩენი-კი სულ ერთიანად დალეწა და გაანადგურა ადიდებულმა წყალმა

ჩემის აზრით ეგ უბედურება არ მოხდებოდა, რომ დროთი ეზრუნა სოფელს მდინარის ნაპირების გამაგრებაზე. რა თქმა უნდა, ამ საქმეში მეთაურობა ადგილობრივის მოძღვარის და მამასახლისის მოვალეობა იყო, მაგრამ აწი, რომ კიდეც ვუსაყვედუროდ — რა გამოვა?

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მაინც მიაქცევენ ყურადღებას გაგიჟებულ მდინარეს და შესაფერს ზომებს მიიღებენ და ახალის ეკლესიის აშენების საქმესაც ამ თავითვე შეუდგებიან.

მახლობელთაგანი.

⁂ **ქ. გორი.** **ბიბლიოთეკის უქონლობა და ჩვენი უზრუნველობა.** არა ერთხელ ყოფილა ნახსენები და ჩამოთვლილი „ცნობის ფურცელში" და სხვა ჩვენს პერიოდულს გამოცემებშიაც ქ. გორის ავ-კარგიანობა— მისი დანაკლისი და სხვა; მაგრამ ვერც ერთი ნავალალევი დანაკლისი ჯერ ვერ მიჰნიჭებია ჩვენს [illegible] გუდა ქალაქს. ერთი უმთავრესი ნაკლთაგანი არის ბიბლიოთეკის უქონლობა. ქ. გორი პატარა ალარაა; მასში თითქმის 10 ათასამდე მცხოვრები იქნება; ამოდენა მაზრაში ეს არის დედა და უმთავრესი ქალაქი. როგორც თვით მცხოვრებლებმაც უწყიან, გორში თუ სულ არა, ნახევარი მაინც შეგნებული და ნასწავლი ხალხი არის. საკმარისი სასწავლებლებია; სამ-კლასიანი სამოსწავლო სემინარია, დედათა 4 კლასიანი პროგიმნაზია, 4 კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი, სასულიერო სასწავლებელი და რამდენიმე სამრევლო სკოლები ჩვენი თუ სომხებისა. ასე ყოველმხრივ შემკობილს ქალაქს აკლია ბიბლიოთეკა და ვერც ეღირსა მის დაარსებას. ძლიერ გასაკვირველია, განა? თუ იმას ვიტყვით— ინტელიგენცია არ არისო, ვერც ეგ ითქმის, რადგან აქ იმდენი ინტელიგენტები ირევიან, რომ ვინც გინდ ჯოხი რომ მოიქნიოს, უთუოდ მას მოჰხვდება და მოგაძახებს: აბა რას შვრები, ინტელიგენტი ვარო! ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ რათ გვინდა მართლაც ისეთი ინტელიგენცია, თუ-კი არას გააკეთებს სასარგებლოს ხალხისათვის, საზოგადოებისათვის; „მაგისთანა ქოთანი ქვას და მაწონი ძაღლსო".

გორელი ინტელიგენცია შინა ზის თბილად და უდარდელად; თუ ბიბლიოთეკაზე დაელაპარაკე, ასე გეტყვის: მე წერა-კითხვა ვიცი და სხვას რას დავეძებო, კიდევაც რომ გავისარჯო, მადლობას ვინ მეტყვისო. წიგნები შინ მაქვსო, დავჯდები, თუ მინდა და ვიკითხავო, ნეტა ისინიკი გადავიკითხო და სოლომონ ბრძენი გავხდებიო.

არიან იმისთანანიც, რომელნიც ძალიან გულით სცდილობენ ამ სასარგებლო საქმის განხორციელებას, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ „მარტო კაცი პურის ჭამაშიაც ცოდვააო", აქაც ეგრეა; ზოგი ცდილობს როგორმე მოიმხროს რამდენიმე გავლენიანი ინტელიგენტი, მაგრამ ვერას ხდება. ბევრჯერ დაუწყვიათ ყაყანი ამ საგანზე და, სხვათა შორის, ამ ხუთის წლის წინად დაეწყოთ ჩოჩქოლი და ეთხოვნათ კიდეც ერთ აქაურ თვითმმართველობის წევრისთვის შუამდგომლობის გაწევა მთავრობის წინაშე. ხსენებულს პირს ხმაც შესწევს ამ საქმეში, ღონეცა და ჯიბეც, მაგრამ იმას ცივად უპასუხნია: „აი კლუბი, ბიბლიოთეკაც არის და ბილიარდიცო, ჩაეწერეთ და იკითხეთო". ახლა ეგ კარგი, მეც მეხალისება გორის კლუბის წევრობა, მაგრამ ჯიბე ნებას მაძლევს?.. იქ წელიწადში 12 მან. ღირს წევრობა და შენა გაქვს ეგ ფული, მე-კი არა მაქვს, მაშ როგორა ვქნათ? იქნება თქვენისთანა სულ ათასი არ მოგროვდეს ქალაქში და ჩემისთანა-კი ცხრა ათასია; მაშ უმრავლესობა-კი გარიყულზე დარჩეს? მახლას!..

ასეა თუ ისე, დღეს ჩვენ ბიბლიოთეკას ვსაჭიროებთ და ამისთვის ვთხოვთ გორის ინტელიგენციას, რომ ამ იარას რაიმე წამალი დასდოს და დროით დააარსოს სამკითხველო-ბიბლიოთეკა, რადგან ამ ჟამად სოფელმაც-კი გაგვასწრო.

ეს ერთი კვირაა, რაც აგვიცივდა კიდეც და ავდრებიც დაიწყო და, როგორც ეტყობა, ნამდვილს შემოდგომას გვიყენებს; ეს სიცივე მავნებელია ყურძნისათვის, რადგან კარგად დამწიფება აკლია და როგორმა არ მოუსწროს და არ დასკრას, თორემ სულ ერთიანად წახდება ისეც წამხდარი გლეხ-კაცი.

ალ. ალაზნისპირელი.

⁂ **სოფ. ამაღლება** (გურია). **უგზოობა.** ვერ წარმოიდგენს ადამიანი, რა უგზოობაა ამაღლებაში! კარგი მარჯვე ვაჟ-კაცი უნდა და კარგი ცხენი, რომ საათში ორი ვერსი გაიაროს. ეს „სამაგალითო" გზა არის ახალი წყლის მადანიდამ დაწყებული ა. ზარბახიძის ეზომდის; ეს დიდი გზა მიდის ამ მდიდარ სოფელში ჩახატაურიდან და პირდაპირ მთაზე გადადის. აუცილებელი საჭირო არის, ვისიც ჯერ არს, მიიღოს სასტიკი ღონე და ეს გზები გააკეთებინოს სოფელს. გურიაში სასარგებლო ბრძანებისთვის ხალხი უკან არ დაიწევს, მხოლოდ კაცი უნდა, რომელსაც ქვეყნის ავ-კარგზე გული შესტკივა.... ამაზე წინად ჩოხატაურში მომიხდა გაჩერება მთელი ხუთი საათი. მარა ერთი თქმულება სწორეთ ჩოხატაურელებს ახდენიათ „შარშან ჩემი შვილი ცხენს გააჭენებდა და, წრეულს კარზედაც ვერ გადადისო" ბიბლიოთეკის კარები დაკეტილია და სადათის ძილით განისვენებს! „ქალი გათხოვდაო." ნუ თუ ქალაქმა სხვა ვერავინ იშოვნა, რომ ში დააყენოს და პატარა ტაძარი სწავლისა ხალხისათვის მიუწდომელი არ დარჩეს!...

ბან-დონ.

⁂ **პეტროვსკი.** (დაღესტანი) **ღვინის მოსავალი.** აქაურ ვენახებში ისეთი მოსავალია, რომ ავის თვალით არ ინახვის, ბევრი და მასთან კარგი; შარშან საუკეთესო ვენახებიდგან ტკბილი სისქე 12—15 არ სცილდებოდა (თანახმად ბაბოს არეომეტრისა) და წრეულს კი უკანასკნელ ბაღიდგან 15—18 აღის. ეს უნდა იყო მიზეზი, რომ კავკავიდგან გროზნიდგან და სხვა ზოგიერთ ადგილებიდგან მოაწყდა ხალხი (ღვინის ვაჭრები) ტკბილი ვედრო 1 მ. 1 მ.-40 კ. იყიდება. ამისთანა მოსავალი ათი წელიწადია, თურმე, არ ჰღირსებიათ აქაურებს.

გ. თ.

⁂ **დ. ხაშური** (ქართლი). **ისევ მეპურეთა ურიგობაზე.** ამას წინედ იყო მოხსენებული ,,ცნ. ფურც." აქაური მეპურეს ურიგობა, ეხლა ერთს მეპურესაგან გამომცხვარი პურის სხვა-და-სხვა მწერებით შიგ ჩაზელილი მამასახლისს ვაჩვენე და თან დავსძინე, რომ გაეშინჯა ის ადგილები, სადაც ფქვილსა სცრიან და ცომს ზელავენ, მამასახლისმა ფიცხელი ყურადღება მიაქცია ჩემს თხოვნას და თავად ნახა მეპურეს ნაცხობი პური, მაგრამ რას ნახავდა კარგს. არა თუ ცომის ზელა და ფქვილის ცრა შესაძლებელია იქა, არამედ გამომცხვარი პურის შენახვაც-კი ძრიელ საშიშოა იმ ადგილას, რადგან, როგორც ჭერებში, ისე კედლებზედაც სულ ბაჭაჭუას ობობებით არის მორთული—მოკაზმული. მეტის-მეტად ბინძურად არის მოწყობილი ცომის საზელი ადგილი. ნახა რა ეს მამასახლისმა, უბრძანა მეპურეს, რომ დაუყოვნებლივ წესიერად მოეწყოთ ის ადგილები, სადაც სიბინძურე სუფევს; დაიწერა იმ მეფურნის გვარი და სთქვა ოქმს შევადგენო. იმედია, რომ, როგორც ბ. ბოქაული აგრეთვე მამასახლისი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ იქაურ მეფურნეებს და აგვაცილებენ ჭია-მატლების და ბაჭაჭუების ჭამასა.

გიგო ხანაველი.

⁂ **ს. ბანძა** (სამეგრელო) **გზის უქონლობა.** ს. ბანძაში სამეგრელოს ერთი უმთავრესი სოფელთაგანია. ეს სოფელი მდიდარია ბუნებით და შესანიშნავია მით, რომ ქურდობა და ყოველივე ავკაცობა მოსპობილია სენაკის მაზრის ადმინისტრაციის მეცადინეობით.

ჩვენს სოფელში საჭირ-ბოროტოსაგანი გახლავსთ საზოგადო გზა. თ-დი ბეგლარ გიგოს-ძე ფაღავას ეზოდან დაწყებული ურიების უბნამდინ ვერს ნახევრის მანძილზე გზა გაყვანილია უკვე განსვენებულის, მაზრის, უფროსად ყოფილის, გ. ბებურიშვილის განკარგულებით და მას აქეთ დღემდის ეს გზა მოუკირწყლავად დარჩენილია, რის გამოც დიდს გაჭირვებაში ვართ ჩაცვივნულნი წვიმიან დღეებში. ურიების უბანში არამც თუ ქვეითად, ცხენითაც შეუძლებელია გავლა, ისეთი ტალახი სდგას გზაზედ. ზამთრობით ხომ მოწყვეტილნი ვართ იმ უბანსაც, სადაც იყიდება ყოველ პარასკევ-კვირაობით ყოველივე საოჯახო ხორაგი. ჩვენი ეკლესია ურიების იქით იმყოფება და იქ ხომ ზამთრობით ჩვენიანებს ვინ ნახავს ამავე უგვარ უგზოობის გამო? წირვა-ლოცვის მოსმენას მოკლებულნი მიცვალებულის გასვენებასაც ვეღარ ვახერხებთ. რაც უნდა გულ-საწყალი მიცვალებული იყოს, დედათა სქესს არ შეუძლია ეკლესიამდე მიაცილოს.

ამის თაობაზედ ბევრჯერ შეგვიწუხებია ადგილობრივი ადმინისტრაცია, ამ დროებით ბატონ მაზრის უფროსისა და ბოქაულისაგან ჰქონდა ნაბრძანები მამასახლისს, რომ ეს გზა გაეკეთებინა. მაგრამ რა ჰქნას მამასახლისმან? ის თავს არა ჰზოგავს უფროსის ბრძანების შესრულებისათვის, მაგრამ მის მოქმედებას. წინ გადაეღობა რაღაც დაბრკოლება მაინც იმედი გვაქვს, ამ შემოდგომაზედ გვეღირსოს ამ გზის გაკეთება.

კონსტანტინე ფაღავა.

⁂ **ს. წილკანი** (ქართლი). **უწყლობა და მოსავლის უვარგისობა.** ეს მესამე წელიწადია, რაც წილკნელებს ბედი ჰღალატობს... დღეს წილკნელი გლეხი სასოწარკვეთილებას მისცემია და აღარ იცის რა გზით აიცილოს თავიდამ უბედურობა; ჯერ იყო მინდვრის ნათესი ჯეჯილობისას ძირიანათ დაგლიჯა ქარმა, თუ რამ გადარჩა—ისიც ნიაღვრებით ადიდებულმა „ნარეკლავმა" მოიტივტივა და ამ რიგად გლეხს ცხოვრების უმთავრესი სახსარი ხელიდამ გამოეცალა. დიახ, საბრალო გლეხი მწარე განსაცდელში ჩავარდა, იმის მჭრელმა ნამგალმაც ვეღარ ინავარდა ყანის მკაში, ის დაჟანგებული ძევს პატრონის გულსაწყვავად. უწყლობას ჩვენში დიდი ხანია შეჩვეულნი ვართ. აი საქმე რაში მდგომარეობს: ძველად მდ. ნარეკლავი თავისუფლად დენილა [illegible] გზაში არავის გადასდგომია; მხოლოდ ამ რამოდენიმე წლის წინედ, წილკნის ზემოდ, სამი ვერსის მანძილზედ, ნარეკვლევის [illegible] ერთმა მებატონემ ოსები დაასახლა, რომლებმაც, ბატონების ნება-რთვით, ნარეკვლის წყალი დაიჭირეს ვენახების გასაშენებლად და წილკნელები ხახა მშრალი დასტოვეს. რასაკვირველია, წილკნელებმა სამართალს მიჰმართეს და, საუბედუროდ, საქმე გაჭიანურდა. საკუთარს ნარეკვლის წყალზედ ხელ-აღებული დარჩნენ... ნაცვლად ამისა, მებატონემ ნება დაგვრთო ქსნიდგან წყლის წაყვანისა, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ამაშიაც იჯარა ეძლიათ მის [illegible] მუშით, ურმით, გუთნით და სხვა ფრივალ, რითაც-კი დასჭირდებოდა. მეტი გზა არ იყო, გაჭირებულმა გლეხებმა თანხმობა გამოაცხადეს. ნურც იმას დავიწყებთ, რომ ნაყიდს წყალს გზაში ელობებოდნენ. მუხრანელები, ძალისელები და ყრუდელები, რომელნიც მზათ მოყვანილის წყლით მინდვრებს რწყავდნენ მაშინ, როდესაც საბრალო წილკნელებს სასმელად ენატრებოდათ და ვენახები სრულიად გადაუხმათ. წილკნელებმა ვეღარ გაუძლეს ასეთს მდგომარეობას და უმაღლეს მთავრობას მიჰმართეს თხოვნით; თხოვნამ უბრალოთ არ ჩაიარა: ამ სამის წლის წინად საქმის გარემოება გამოიკვლიეს, ნარეკვლავი წილკნელებს მიუსაჯეს, მაგრამ მთლად-კი არა— ორი წილი, დანარჩენი გაუყვეს ორ მებატონეს; რომელთაც არავითარი უფლება არა აქვთ წილკნელების წყლით ისარგებლონ, ასე გაათავა საქმე ინჟინერ-გიდრავლიკმა, ბ-ნმა სივიცკიმ, რომელმაც გადაწყვეტით გამოაცხადა: ამ სამის თვის განმავლობაში ნარეკვლავი წილკნელებს ჩაჰბარდებათო. მას აქეთ სამი წელიწადია უცდით, მაგრამ ვერ ვეღირსეთ ამ საქმის დაბოლოვებას. ამ ზაფხულს ისე გაუჭირდათ წილკნელებს, რომ დუშეთის ტბიდამ შეისყიდეს წყალი ოთხი თვის ვადით, მაგრამ, საუბედუროდ, წყალი ასეთის თვისებისა აღმოჩნდა, რომ ბოსტნეულობა სრულებით გააფუჭა და მკვიდრთაც აწყინა; საქონელსაც უცნაური სენი გაუჩინა: სივდება და უკმდება მუშა საქონელი. ხმა დადის, რომ ექიმები დაიარებიან სოფელ-სოფელ საქონლის დასაზისაო, ჩვენში-კი ჯერ ავადმყოფს ადამიანებსაც არავინ აღმოსჩენიათ გულ-შემატკივარი, თორემ ვაზის და პირუტყვის მკურნალი ხომ თვალითაც არ გვინახავს.

ურიგო არ იქმნებოდა, ნახევარი საათით მაინც მობრძანებულიყვნენ და დარიგება მიეცათ გლეხებისათვის, რომელნიც, სამართლიანი საყვედურით იხსენიებენ მათ.

ვაზმა ყურძენი ცოტა დაისხა და ისიც სრულიად გაუვარგისდა, ფოთოლიც უკვე ჩამოჰკნა, ასე, რომ ჩვენში ვაზი „შემოდგომის" ხანებშია ჩავარდნილი.

წილკნელი.

⁂ **ს. ტეზერი** (ქართლი). **საჭირო განმარტება ეკკლესიის შესახებ.** ბ. რედაქტორო; „ცნობის ფურცლის" № 303-ში დაბეჭდილია ცნობა ბ. ტეზრელის მიერ ერთი ჩემდა რწმუნებულ სამრევლო სოფლებთაგან—სოფ. ტეზრიდგან სახებ აქაური წმ. მღვთიშობ. ეკკლესიისა, რომელსაც ბ. ტეზრელი უწოდებს „უპატიოსნოს";

უსამართლოა, ეწოდოს უპატრონო იმ ეკკლესიას, რომელსაც პატრონად ყავს არა ერთი და ორი, არამედ მთელი სოფელი, და რომ იგი ნამდვილი გულ შემატკივარი პატრონია—ეს ცხადად სჩანს თვით გ. ტეზრელის წერილიდან, რომელშიაც იგი გაუწყებთ, რომ „ამ ბოლოს დროს გალავანი შემოარტყესო“ ყველასათვის ცხადია, რომ ეს ეკკლესია უპატრონო იყოს, გალავანსაც არავინ შემოარტყამდა.

რომ გ. ტეზრელმა არ იცის სოფ. ტეზრის ეკკლესიის ყოფა-მდგომარეობა, ეს ცხადად სჩანს იმ გარემოებიდგან, რომ თვის წერილში ამბობს: „ეკკლესიის შესავალ გასავლისა ხომ ღმერთის მეტმა არავინ იცისრაო.“ ვარწმუნებ გ. ტეზრელს, რომ ეკკლესიის შესავალ-გასავალი იცის მთელმა სოფელმა. ყველა ტეზრელმა იცის, რომ ამ ეკკლესიას არა აქვს არა ვითარი უძრავი საკუთრება, გარდა მცირე ეზოსი, და ერთად ერთი წყარო მისი შემოსავლისა არის მისი სადღესასწაულო დღე, რვას ენკენისთვეს მოვაჭრეთაგან აკრეფილი ალაგის ქირა, რომელ ალაგს აძლევს ქირით მოვაჭრეთ და იღებს ქირას სოფლისაგან ამორჩეულნი პირნი (კომისია), რომელნიც ვალდებულნი არიან ეს ფული მოახმარონ ეკკლესიას და ანგარიში აძლიონ ეკკლესიის წინამძღოლს.

გ. ტეზრელი, სხვათა შორის ბრძანებს, ამ ეკკლესიას უგალავნოდ კარგა მოზრდილი ეზო ჰქონდაო და გალავნის შემორტყმის შემდეგ „რაღაც მანქანებით ეზოს მოაკლდა სივრცეო.“ შემცდარია გ. ტეზრელი, თუ ფიქრობს, რომ ეკკლესიის ეზოს შეადგენს მხოლოდ ის ალაგი, რაც გალავნის შიგნით არის; ნაწილი ამ ეკკლესიის გალავნისა იქმნა დატოვებული გალავნის გარეთ, და იქმნა დატოვებული პირველად მისავალ გზისთვის და მეორედ დღესასწაული დღეს ვაჭრებზე სავაჭროთ გასაქირავებლად, რომ ეკკლესიას არ მოაკლდეს ის ერთად ერთი წყარო შესავლისა რომელიც ზემოთ ვთქვით. რადგანაც ეკკლესიის გალავან შიგნით ვაჭრობა კანონით აღკრძალულია, იურიდიულად ამ ეზოს საქმე ისეა დაყენებული, რომ არას დროს ეკკლესიას ეზო არც გალავნის შიგნით და არც გალავნის გარეთ არ დაეკარგვის.

რაც შეეხება იმას, რომ აგერ ეს ორი წელიწადია, რომ ეს ეკკლესია დაკეტილია დავუმატებ მხოლოდ ამას, რომ წირვა-ლოცვის აღსრულება მასში შეყენებულია დროებით მთავრობის განკარგულებით და სწორედ იმ მიზეზით, რომელიც მოხსენებულია გ. ტეზრლის წერილში: ეკკლესიის კედლები იმდენად შერყეულია და დაზიანებული, რომ საშიშია მთლად არ ჩამოინგრეს და უბედურება არ მოხდეს წირვა-ლოცვის დროს. ბატონი ტეზრელი მავალებს რომ შთავაგონო მრევლს ეკკლესიის შეკეთების საჭიროება და გამოვძებნო წყარო საჭირო ხარჯისა. ვაუწყებ გ. ტეზრელს, რომ მრევლი შთაგონებული გახლავთ ეკკლესიის შეკეთებაზე. მხოლოდ ჯერ-ჯერობით ხუროთ-მოძღვრისაგან, რომელიც იყო მოწვეული ამ საგნის თაობაზე, არ არის გარდაწყვეტილი და არ ვიცით-საკმარისი იქნება შეკეთება მისი, თუ უნდა დაინგრეს საძირკვლამდინ და აშენდეს ხელ ახლად. აი საქმე ამაზეა დამდგარი.

რაც შეეხება საჭირო ხარჯის წყაროსა, ამ წყაროს შეადგენენ: პირველად და უმთავრესად თვით სოფელი. მეორედ, ზემოხსენებული ქირა ეკკლესიის ალაგიდგან და მესამედ კერძო შემოწირულება. იმედი მაქვს, რომ არც ტეზრელი დაიშურებს ამ კეთილ საქმისთვის თავის წვლილს და შეეწევა სოფელს ნივთიერად და არა მარტო წერილებით და სიტყვებით...

ადგილობრივი მღვდელი ი. ციცქიშვილი.

⁂ **სუფსა.** ისედაც დაცემულს სოფელს წყალმაც მთლად მოუღო ბოლო. 1-ლ ამ თვიდან 5-მდის აქ კოკისპირული წვიმები იყო, და წყლებიც ისე გადიდდა, გეგონებოდათ, აქ ზღვა დგასო. წყალმა მთლად წალეკა ყანები. ეს კიდევ არაფერი. წყალმა სოფლელთ მოსტაცა სასიმინდეები. ულმობელ წყალს მიჰქონდა ზღვისკენ ნავები და შეშები.

ყველას მოეხსენება, შარშან წინ რაც წყლობა იყო, და რა დიდი ზარალი მისცა მთელს კავკასიას, მაგრამ წრეულს კიდევ უარესი დღე დაგვადგა. წრეულს წყლები ისე გადიდდა, რომ შარშან-წინდელი მონაგონიც არ იქნებოდა. წაიღო, რკინის გზის ხიდი, ნატანებსა და ქობულეთს შუა. ჩაქვის ტონნელთანაც ჩამოწვა დიდი ზვავი, რითაც მიმოსვლა რკინის გზაზედ ორ დღეზედ მეტი შეჩერებულიყო. ზარალი-კი 30 ათას მანეთს აღემატებოდა.

ნიკოლოზ ალაიანცი.

* * *

საოჯახო ცნობები

ატმის მოყვანა. ატამი, როგორც სხვა ხე ამნაირი მცენარე, მხოლოდ უფრო ნაზი და ნებიერი. ათი თორმეტ წლის შემდეგ ხმება და ან კიდევ უფრო ადრე. თუ ატამი კარგ მიწაზედ არა დგას და ან მზის სხივები საკმაოდ არა ხვდება, მაშინ ნაყოფსაც ცუდს იძლევა და თვითონაც მალე ხმება. ატამი ბევრნაირის ჯურისაა, რადგანაც ადვილად შეიძლება მისი გადაგვარება. აი პირველი მისი გადაგვარებაც: დათესეთ წითელი ჭარხალი (буракъ) სად და კარგ მიწაზედ მარტში, სადაც მზე უფრო კარგათ უყურებს; შემდეგ, როცა ამოვა და დიდრონ თავებს გაიკეთებს, უნდა წვნიანად და ამოუღებლათ გასჭრათ, იმდენზე, რომ ატმის კურკა ჩაეტიოს შიგ. როცა ამას მორჩებით, აიღეთ რომელიმე ატმის კურკა და წვნიანად ჩადევით ამ გაჭრილ ჭარხალში. ეს კურკა აქ გაიღვიძებს, გაიკეთებს ძირებს ჭარხალში, და ცოტა ხნის შემდეგ კიდეც ამოახეთქავს ამ ჭარხალიდგან შემდეგ უფრო და უფრო გაძლიერდება და სამი-ოთხი წლის განმავლობაში, გამოიღებს ნაყოფს, რომელიც იქნება იმ ჭარხლის ოდენა, რამხელაც იყო, აგრეთვე იმ ფერისა და „სათალი“ *). ხოლო გემო-კი ატმისა ექნება. და თანაც ტკბილი, ვისაც ეს ატამი არ უნახავს, ჭარხლათ მიიღებს, და აზრადაც არ მოუვა, რომ ეს ატამია.

მეორე ნაირი გადაგვარება! დათესეთ რომელიმე ატმის კურკა სად მიწაში, როცა ამოვა და ათის გოჯის სიმაღლე გაიზრდება, ე. ი. მეორე წელს, მაშინ მარტში მოსჭერით ტირიფის ღერი ადლ ნახევარზე მეტი, გამოჭრიტეთ შუაზედ დანით ან პატარა ბურღით, გაღუნეთ როგორც გრკალი, (дуга) მოაბით ბაწარი ორსავე თავებში, ხოლო ატამს უნდა მოაცილოთ ტყავი ძირიდგან გოჯ-ნახევარზედ, ნახევარი გოჯი, რომ ტირიფის ღერი და ატამი ერთად შეიზარდნენ. როცა ეს ღერი მზათ იქნება; ატამს ორივე მხრიდგან უნდა ამოუთხაროთ მიწა თითქმის ათ გოჯამდე და ამ გრკალის გამოჭრილში ჩაუშვით ატმის წვერი იქამდის, სადაც ტყავი მოშორებულია. მერე შეახვიეთ რამე ჩვარით, რომ მზის სხივები არ შეუშვიდეს, დატკეპნეთ მიწით კარგათ და ამ გვარად ატამი და ტირიფი ორივე იხარებს. ესენი ერთმანეთს შეედულდებიან, შეეთვისებიან და ერთ წლის განმავლობაში იმოდენა გაიზრდება ატამი, რომ ნაყოფს კიდეც გამოისხამს, მაგრამ იმწამსვე უნდა მოსჭრათ ან მოაშოროთ ეს ნაყოფები. მეორე წელს-კი ორივე გაძლიერდება და მაშინ-კი ატამს უნდა გამოუჭრათ ძირი. მაშასადამე დარჩება ტირიფზე. მესამე და მეოთხე წელში გამოისხამს უკურკო ატამს, და იმხელა გამოვა, რომ ბიას ოდენა იქნება, ყვითელი ფერისა და ძრიად გემრიელი საჭმელი.

ამ ნაირის ატმის ნაყოფი იმიტომ გამოდის უკურკო, რომ ტირიფს კურკა არა აქვს, მაშასადამე, ტირიფიართმევს კურკას ატამს, ხოლო ატამი თავის თვისებას არ ჰკარგავს და, რადგანაც კურკა ატამს შიგ არ ექნება, ნაყოფს მეტი საზრდო ექნება, და სიმწარე-კი მოშორებული, რითაც გემრიელდება და დიდდება.

ნიკოლოზ ალაიანცი.

* * *

ნიხრი პურზედ

გუშინ 18 სეკტემბერს, გამოცხადდა ქალაქის გამგეობისაგან 10 სეკტემბერს დადგენილი და ტფ. გუბერნატორისაგან 16 სეკტემბერს დამტკიცებული ნიხრი პურზედ. ამ ნიხრით მეორე დადგენილობამდე

ფურნის პური პირველი ხარისხისა რუსეთის ფქვილისაგან, გირვანქა ღირს . . . 5 კაპ.

მეორე ხარისხისა ნახევრად რუსეთის ფქვილისაგან და ნახევრად ადგილობრივისაგან გირ. . . . $3\frac{1}{2}$ კაპ.

მესამე ხარისხისა საუკეთესო ადგილობრივი ფქვილისაგან გირ. . . $2\frac{1}{2}$ კაპ.

თონის პური. ჯვარის მამის პური პირ. ხარისხ. 1 გირ. $5\frac{1}{2}$ კაპ.

მეორე ხარისხ., ნახევრად რუსეთისა და ნახევრად ადგილობრივი ფქვილისაგან 1 გირ. . . . 4 კაპ.

მესამე ხარისხისა საუკეთ. ადგილ. ფქვ. 1 გირ. . 3 კაპ.

ლავაში. ჯვარის მამის ლავაში, პირ. ხარსხ. 1 გირ. $6\frac{1}{2}$ კაპ.

თათრული ლავაში, მეორე ხარისხ. საუკეთესო ადგილობრივი ფქვ., 1 გირ. $3\frac{1}{2}$ კაპ.

---

* „სათალს“ ანუ „სახრავს“ უწოდებენ იმ ატამს, რომელსაც კურკა არ შორდება.

განცხადებანი

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე
დილის 11—12 საათამდე და
საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

Доводится до свѣдѣнія почтеннѣйшей публики, что
Въ складѣ Д. М. Исаева
Дворц. ул. во дворѣ дома Цовьянова и Сараджева.
Назначена до 30-го Сентября
РАСПРОДАЖА
разнаго полотна,
саратовскихъ сарпинокъ
бумазеи цвѣтной
и бѣлой,
суконныхъ
платковъ, мадепаламъ, а также и
другихъ матерій
съ значительной уступкою
съ фабричныхъ цѣнъ
въ чемъ могутъ убѣдиться господа
покупатели
ПОЛУЧЕНЪ БОЛЬШОЙ ВЫБОРЪ ШЕРСТЯНЫХЪ МАТЕРІИ
для учебныхъ заведеній
ამით საყოველთაოდ ეუწყება პატივცემულ საზოგადოებას, რომ
დ. მ. ისაევის საწყობში
სასახლის ქუჩა, წოვიანოვის და სარაჯევის სახლის ეზოში
დანიშნულია 30 სეკტემბრამდე
დიდი ბაზრობა იაფად
ყოველ-გვარი ტილოები. სარატოვის სარპინკები ბუმაზე ფერადი
და თეთრი, მიტკლები და სხვა.
ყველა ესენი იყიდება ქარხნების ფასებზე უფრო იაფად
ამ ხანად მიღებულია დიდძალი შალის საქონელი სასწავლებლების
მოწაფეთათვის. (10—2)



სასტუმრო და ბუფეტი
იუჟნი ნომრები
ქალაქის შუაგულში, ფოსტა-ტელეგრაფის გვერდზედ,
ბარონის ქუჩაზე, თამამშევის სახლებში, № 14.

სასტუმროს აქვს 35 სუფთად მოწყობილი ნომერი
დღიურად 50 კაპ., კიდრე 3 მანათამდე, თვიურად
ნაკლებ.

ბუფეტში სადილი ქართული და ევროპიული

ეზოში ჩინებული ბაღი

სადილი, ორის თავის საჭმლიდგან შემდგარი 30
კაპ.; სასმელები ყველანაირი და იაფად.

მუდამ-ჟამ ცოცხალი თევზი

შეიძლება სადილი სახლშიაც დაიბარონ თვიურად
8 მანათად და მეტად.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სამზარეულოს, რომ საჭმელი მზადდებოდეს სუფთა და
ახალის სანოვაგისაგან.

სასტუმროს აქვს სტუმართ გასართობად ორი ბილიარდი: საათში დღისით 20 კაპ., ღამე 30 კაპ.

პატივის-ცემით ი. დ. აბრამიშვილი.

(24—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Сентября 1897 г.
სტამბა ქ. ი. ხელაძისა, დორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია